



Supranational aspects in the functioning of the European Union

Irakli Papava

*Master of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, International Law Expert,
lawyer at the Democratic Development Union of Georgia*

ABSTRACT

The article is an attempt based on a generalization of the experience of the European Union (EU), to identify the essential characteristic of supranationality in the context of the interaction of international law with domestic law, to assess the legal nature of the EU and to offer the reader an authorial definition of "supranationality".

The general conclusion of the paper is that supranationality should be understood as an effective form of interstate cooperation and activity within the international organization, based on unity of interests, in which the authority serving these interests receives some degree of autonomy from the participating countries by transferring (conceding) part of their internal powers to it. As a result, its decisions, without prior transformation into domestic law, have a general normative character and direct effect not only on member states, but also on their natural and legal persons, which is ensured by effective enforcement mechanisms. At the same time, the supranational level, which has a considerable number of independent regulatory powers, is hierarchically higher than inter-state level, therefore, its law also has primacy over the national law.

Besides, within the framework of the article, particular attention is paid to description of main approaches that characterize the legal essence of the European Union. The author expresses an opinion on the appropriateness of understanding the EU as an international organization of a special kind (*sui generis*), which combines elements of classical international organizations with supranational features in its functioning.

KEYWORDS: European Union Law, Supranationality, National law of the member states

NOTES:

1. Arnold, R. (2014). Constitutional Court and European Integration: The German Experience. *Review of Constitutional Law*, VI, 3-13 (In Georgian)
2. Bezborodov, Y. (2017). Supranationality, sovereignty and convergence: the ratio of legal categories. *Electronic supplement to the Russian juridical journal*, 1, 5-17 (In Russian)
3. Bleckmann, A. (1997). *European law: The law of the European Union and the European Communities*. (6th ed.). Cologne-Berlin-Bonn-Munich (In German)
4. Bogdandy, A. Von. (2006). The European Union as a Supranational Federation: a Conceptual Attempt in the Light of the Amsterdam Treaty. *Columbia Journal of European Law*, Winter. L., 127-159 (In English)
5. Bregadze, R. (2005). Material Supranationalism in European Law. *Review of Georgian Law*, Vol. 8, N3-4, 336-356 (In Georgian)
6. Chetverikov, A. O. (1999). The main organs of the European Union: Constitutional and legal aspect. PhD diss. Moscow (In Russian)

7. Chirkin, V. E. (2017). Supranational law: main features. *Journal of Russian Law*, 2, 131-137 (In Russian)
8. Chirkin, V. E. (2001). Federalism and the federal state. *Federalism: theory, institutions, relations (comparative legal research)*. Moscow (In Russian)
9. Curtin, D. (1993). The Constitutional Structure of the Union, a Europe of Bits and Pieces. *Common Market Law Review*, Vol. 30, 17–69 (In English)
10. ECJ. Case 6/64, *Flaminio Costa v. E.N.E.L.*, Judgment of 15 July 1964. (In English)
11. ECJ. Case 11/70, *Internationale Handelsgesellschaft mbH v. Einfuhr – und Vorratsstelle für Getreide und Futtermittel*, Judgment of 17 December 1970. (In English)
12. ECJ. Case 48/71, *Commission of the European Communities v. Italian Republic*, Judgment of 13 July 1972 (In English)
13. ECJ. Case 14/68, *Walt Wilhelm and others v. Bundeskartellamt*, Judgment of 13 February 1969 (In English)
14. Entin, L. M. (2009). *European Union Law. A new stage of evolution: 2009–2017 years*. Moscow (In Russian)
15. 2014/335/EU, *Euratom: Council Decision of 26 May 2014 on the system of own resources of the European Union*. OJ L 168, 7/6/2014, pp. 105–111 (In German)
16. Erofeenko, L. V. (2016). The supranational aspect in the law of the European Union. *Legal Science Electronic Journal*, 6, 244-246 (In Russian)
17. (1999). *European Union Law: Documents and Commentary*. Ed. by Kashkin S. Y. Moscow (In Russian)
18. (2006). *European law: textbook*. Under the general ed. Entin L. M., Moscow (In Russian)
19. Feshchenko, A. S. (1988). The phenomenon of supranationality in the activities of international organizations. *Sov. yearbook of international law*. 1987 (In Russian)
20. Galushko, D. V. (2018). *Relationships between EU law and law of member-states and third countries: monograph*. Voronezh State University. Voronezh: Publishing House of VSU (In Russian)
21. Galushko, D. V. (2020). The legal essence of the European Union in modern realities. *VSU BULLETIN. LAW SERIES*, 1 (January – March), 234-241 (In Russian)
22. Gornig, G. (2005). *The EU Law*. St. Petersburg: Piter (In Russian)
23. Hohenveldern, J. S. (1980). *International law*. Cologne-Berlin-Bonn-Munich (In German)
24. Hughes, Chr. (1990). *Confederacies*. Leicester (In English)
25. (1999). *International law: textbook*. Rev. ed. Kolosov Y. M., Kuznetsov V. I. Moscow (In Russian)
26. Ispolinov, A. (2017). Compliance with the judgments of international courts: theory and practice. *Mezhdunarodnoe pravosudie [International Justice]*, 1, 45–67 (In Russian)
27. (1999). *European Union Law: Documents and Commentary*. Ed. by Kashkin S. Y., Moscow (In Russian)
28. Kapustin, A. Y. (2001). *International and legal problems of the nature and force of law of the European Union*. PhD diss. Moscow (In Russian)
29. Kapustin, A. Y. (2000). *European Union: Integration and Law*. Moscow (In Russian)
30. Khubua, G. (2000). *Federalism as Normative Principle and Political Order*. Tbilisi (In Georgian)
31. Klabbers, J. (2017). *International Law*. (2nd ed.). Cambridge: Cambridge University Press (In English)
32. Klemin, A. V. (1992). Once again about the competence of the European communities. *Moscow Journal of International Law*, 4, 117-128 (In Russian)
33. Korolev, M. A. (1997). Supranationality from the Perspective of International Law. *Moscow Journal of International Law*, 2, 3-20 (In Russian)
34. Kunz, J. L. (1952). *Supra-National Organs*. *The American Journal of International Law*, Vol. 46, No. 4 (Oct., 1952), 690-698 (In English)
35. Kuznetsov, V. I. (1981). *Problems of Theory and Practice of International Law in the Processes of European Economic Integration*. Moscow (In Russian)
36. Lazarev, B. M. (1990). *Federation or confederation. New union treaty: search for solutions*. Ed. by Lazarev B. M. Moscow (In Russian)
37. Lasok, D., Bridge, J.-W. (1982). *Introduction to the law of the European Communities*. Londres, Butterworths (In English)
38. Lifshitz, I. M. (2019). Problem of Classification of the European Union Law as a Legal System. *Actual Problems of Russian Law*, 11, 153-162 (In Russian)
39. Lukashuk, I. I. (1997). *International law. Special part: textbook*. Moscow (In Russian)
40. Maklakov, V. V. (1996). *Constitutions of foreign states*. Moscow (In Russian)
41. Mehl, P. (1987). *The European Commission of the German Bundestag*. Kehl-Arlington (In German)
42. Meshcheryakova, O. M. (2011). Supranationality in the European Union and the effect of Community law. *RUDN Journal of Law. Series: Legal Sciences*, 4, 172-179 (In Russian)
43. Neuhold, H., Hummer, W., Schreuer, C. (1983). *Austrian manual of international law, I text part*. Vienna (In German)

44. Nicolaysen, G. (2002). *European Law I: The European Constitution for Integration*. (2nd ed.). Nomos Verlagsgesellschaft Baden-Baden (In German)
45. Papava, I. (2017). *Legal Basis of the Functioning of the European Union: Fundamental Acts and Comments*. Tbilisi (In Georgian)
46. Phelan, W. (2012). What Is Sui Generis About the European Union? Costly International Cooperation in a Self-Contained Regime. *International Studies Review*, 14 (3), 367-385 (In English)
47. Primova, E. N. (2013). The ratio of national to supranational principles in the European Union. *Bulletin of Moscow University. Series 12, Political Sciences*, 5, 44-52 (In Russian)
48. Pescatore, P. (1974). *The law of integration: emergence of a new phenomenon in international relations, based on the experience of the European Communities*. Leiden: Sijthoff (In English)
49. Pescatore, P. (1983). The doctrine of direct effect: an infant disease of community law. *European Law Review*, Vol. 8, 155-177 (In English)
50. Schermers, H. G. (1980). *International Institutional Law*. (2nd ed.). The Hague (In English)
51. Shrepler, H.-A. (1995). *International organizations: reference book*. Moscow (In Russian)
52. Shütze, R. (2018). *European Union Law*. Second edition. NY: Cambridge University Press (In English)
53. Sidzhanski, D. (1998). *The Federalist Future of Europe: From the European Community to the European Union*. Moscow (In Russian)
54. Steinberger, H. (1989). Legislation aspects of the Federal Constitutional Court on the relationship between EC and German law. *Festschrift for Karl Doehring* (In German)
55. Steiner, H. J., Vagts, D. F., & Koh, N. H. (1994). *Transnational legal problems. Materials and Texts*. (4th ed.). N.Y.: The foundation press (In English)
56. (1992). *Subsidiarity and Federalism in the European Union. From Clemens Stewing*. Carl Heymanns Verlag KG, Cologne-Berlin-Bonn-Munich (In German)
57. Topornin, B. N. (1999). *European Law: Textbook*. Moscow: Jurist (In Russian)
58. Treaty of Brussels (Merger Treaty). – Treaty establishing a Single Council and a Single Commission of the European Communities. OJ 152, 13.7.1967, pp. 2–17 (In German)
59. Treaty establishing the European Coal and Steel Community. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/PDF/?uri=CELEX:11951K/TXT&from=DE> (29/10/2020) (In German)
60. Ushakov, N. M. (1997). *The state in the system of international legal regulation*. Moscow (In Russian)
61. Weatherill, S., Beaumont, P. (1995). *EC Law*. (2nd ed.). London: Penguin Books (In English)
62. (2006). Wyatt and Dashwood's *European Union law*/Arnulf, A., Dashwood, A., Ross, M. G., Wyatt, D. A., Spaventa, E., & Dougan, M. London: Sweet and Maxwell (In English)

BIBLIOGRAPHY:

1. Aleksidze, L. (2010). *Modern International Law*. Publishing House "Innovation", Tbilisi (In Georgian)
2. Calliess, Chr. (2010). *The new European Union after the Lisbon Treaty*. Tübingen: Mohr Siebeck (In German)
3. Draft Treaty embodying the Statute of the European Community (adopted by the Ad Hoc Assembly, in Strasbourg on 10 March 1953). Information and official documents of the Constitutional Committee, October 1952 – April 1953. Paris: Secretariat of the Constitutional Committee, 1953. pp. 53-143. http://aei.pitt.edu/991/1/political_union_draft_treaty_1.pdf (29/10/2020) (In English)
4. ECJ. Case 294/83, Parti ecologiste «Les Verts» v. European Parliament, Judgement of 23 April 1986 (In English)
5. ECJ. Amministrazione delle Finanze dello Stato v. Simmenthal SpA. Judgment 9 March 1978 (In English)
6. (1987). *Fact sheets on the European Parliament and the activities of the European Community*. Luxembourg (In English)
7. *Fragmentation of International Law: Difficulties Arising from the Diversification and Expansion of International Law*. Report of the Study Group of the International Law Commission. A/CN.4/L.682, 13 April 2006, para 218, pp. 112-113. https://legal.un.org/ilc/documentation/english/a_cn4_l682.pdf (26/10/2020) (In English)
8. Gabrichidze, G. (2012). *European Union Law*. Institute of European and Comparative Law Publishing House, Tbilisi (In Georgian)
9. Hartley, T. K. (1998). *The Foundations of European Community Law: An Introduction to the Constitutional and Administrative Law of the European Community*. Moscow-Budapest. (In Russian)
10. Hay, P. (1996). *Federalism and supranational organisations. Patterns for new legal structures*. (In English)
11. Kaiser, J. H. (1980). Limits of the EC competence. In: *Journal for European Law* 1980, 97ff. (In German)
12. Koeck, H. F. (1988). The "implied powers" of the European Communities as an application of the "implied

- powers" of international organizations in general. Festschrift for J. S. Hohenveldern. Cologne. (In German)
13. Meshcheryakova, O. M. (2010). Supranational international organizations and the problem of the sovereignty of the member states. *Moscow Journal of International Law*, 2, 37-47. (In Russian)
 14. Mirianashvili, G. (2018). Doctrine of Supremacy of the European Union Law over Member State's Constitutions According to the Melloni Case. *Journal of Constitutional Law*, 2, 123-128. (In Georgian)
 15. Phirtskhalashvili, A. (2018). Internationalisation of the National Law to the Constitutionalisation of the International Law. *Journal of Constitutional Law*, 1, 43-53. (In Georgian)
 16. Sweet, A. S., Caporaso, J. A. (1998). From Free Trade to Supranational Polity: the European Court and Integration. *European Integration and Supranational Governance*. Ed. by Sandlloltz, W. & Sweet, A. S. N.Y. (In English)
 17. Ushakov, N. A. (1988). Problems of the theory of international law. Moscow. (In Russian)
 18. Vasilenko, V. A. (1988). Basics of Theory of International Law. Kiev. (In Russian)
 19. <https://europa.eu> – Official website of the European Union.
 20. <https://curia.europa.eu> – Official website of the Court of Justice of the European Union.
 21. <https://ec.europa.eu> – Official website of the European Commission.

სუპრანაციონალურობის ასპექტები ევროპის კავშირის ფუნქციონირების პროცესში

ირაკლი შაჰავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, ა(ა)იპ „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ იურისტი

საკვანძო სიტყვები: ევროპის კავშირის სამართალი, სუპრანაციონალურობა, წევრი ქვეყნების ეროვნული სამართალი

შესავალი

სუპრანაციონალური რეგულირების საკითხები დღეისთვის ძალზე აქტუალურია. თანამედროვე გეოპოლიტიკურ პირობებში, როდესაც კავშირი ქვეყნებს შორის სულ უფრო ურთიერთდამოკიდებული ხდება, ხშირად იქმნება საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივმოქმედი მარეგულირებელი ორგანოებით, რომლებიც ზესახელმწიფოებრივ დონეზე სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებით არიან აღჭურვილნი. შედეგად, იცვლება თანაფარდობა საერთაშორისო და ეროვნულ სამართალს შორის. მრავალი საკითხი, რომლებიც ადრე სახელმწიფოს კომპეტენციას მიეკუთვნებოდა, საერთაშორისო რეგულირების საგანი ხდება. ეს კი საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა ურთიერთობებში კოორდინაციის ახალი ინსტრუმენტების შექმნის საჭიროებას ქმნის. შესაბამისად, იზრდება ყურადღება სუპრანაციონალური რეგულირების პერსპექტივებისადმი.

საგულისხმოა, რომ სახელმწიფოთაშორის

ურთიერთობებში სუპრანაციონალურობის ფენომენის გაჩენისა და შემდგომი ევოლუციის საწყის წერტილად მე-20 საუკუნის შუა პერიოდში ევროპაში დაწყებული ინტეგრაციული პროცესები მიიჩნევა, რამაც თავისი განსახიერება ისეთი საერთაშორისო ინსტიტუციური სტრუქტურების შექმნაში პოვა, როგორებიცაა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (1952 წ.), ევროპის ეკონომიკური გაერთიანება (1958 წ.) და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება (1958 წ.). პარალელურად, დაიწყო სუპრანაციონალური ორგანოების (ინსტიტუტების) საერთო სისტემის ჩამოყალიბება და, შედეგად, 1967 წლის 1 ივლისიდან, როდესაც ძალაში შევიდა ე.წ. „შერწყმის ხელშეკრულება“,¹ სამივე ევროპული გაერთიანება დე ფაქტო ერთიან ორგანიზაციად გადაიქცა, თუმცა კი, ფორმალურად, თითოეულმა მათგანმა

1 ob. Vertrag von Brüssel (Fusionsvertrag). – Vertrag zur Einsetzung eines gemeinsamen Rates und einer gemeinsamen Kommission der Europäischen Gemeinschaften. ABl. 152 vom 13/7/1967, S. 2-17.

შეინარჩუნა „იურიდიული პირის“ სტატუსი და სამართალსუბიექტობა საერთაშორისო არენაზე.² მოგვიანებით მათ საფუძველზე 1992 წელს ევროპის კავშირი (შემდეგში – „ეკ“, „კავშირი“, „ევროკავშირი“) შეიქმნა. ეს მოვლენა განსახილველი ფენომენის გენეზისის საკვანძო ელემენტად იქცა. მართალია, სუპრანაციონალურობა ეკ-ის ექსკლუზივი არაა და მისთვის დამახასიათებელ გარკვეულ თვისებებს (ნიშნებს), ამა თუ იმ დონით, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც ფლობენ, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: ტრადიციული საერთაშორისო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, ევროკავშირში განსაკუთრებით ბევრი სუპრანაციონალური თვისება მაღალი ინტენსიურობით აისახა.³ შესაბამისად, აღნიშნული პრობლემაც მასთან მიმართებით იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და აქტუალურობას.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს მოკრძალებულ მცდელობას, ეკ-ის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე, იდენტიფიცირებული იქნას სუპრანაციონალურობის დამახასიათებელი ნიშნები, შიდასახელმწიფოებრივ სამართალთან საერთაშორისო სამართლის ურთიერთქმედების კონტექსტში, შეფასებული იქნას ევროკავშირის სამართლებრივი ბუნება და მკითხველს შესთავაზოს „სუპრანაციონალურობის“ ცნების ავტორისეული განსაზღვრება.

სუპრანაციონალურობის ცნება და ნიშნები

სუპრანაციონალურობა საერთაშორისოსამართლებრივი ცნებაა, რომელიც, ძირითადად, ევროპის კავშირისა და ევროპის ყოფილი გაერთიანებების დახასიათებისას გამოიყენება⁴ და

2 იხ. პაპავა, ი. (2017). ევროპის კავშირის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლები: საბაზისო აქტები და კომენტარები. თბილისი, 13.

3 იხ. ბრევაძე, რ. (2005). მატერიალური სუპრანაციონალიზმი ევროპის სამართალში. ქართული სამართლის მიმოხილვა, ტ. 8, N3-4, 338.

4 ტერმინი „სუპრანაციონალური“ მომდინარეობს ლათინურიდან – supra („შემეტი“, „შორს“, „ზევით“) და natio („ხალხი“, „ერი“), რაც ზეეროვნულს, ზესახელმწიფოებრივს ნიშნავს. – იხ. ბრევაძე, supra სქოლიო 3, გვ. 336. პირველად ოფიციალურ დოკუმენტში იგი 1951 წელს იქნა დაფიქსირებული ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შექმნის შესახებ პარიზის ხელშეკრულებაში, რითაც, ფაქტობრივად, მიიღო თავისი ლეგალიზაცია. კერძოდ, აღნიშნული ხელშეკრულების მე-9 მუხლის V აბზაცის თანახმად, „უმაღლესი ორგანოს (Die Hohe Behörde) წევრები სრულად დამოუკიდებელი

სახელმწიფოდან ზესახელმწიფოებრივ დონეზე კომპეტენციათა გადაცემას გულისხმობს. მისი სპეციფიკა ისაა, რომ, შედეგად, „სუპრანაციონალური“ ხელისუფლება იღებს შესაძლებლობას, თავისი ქმედებებით დაავალდებულოს მონაწილე ქვეყნები, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აღნიშნულის თაობაზე მათი თანხმობის გამოთხოვისა და მიღების გარეშე, ე.ი. ამ ქვეყნებთან მიმართებით იგი დამოუკიდებელ საგანმკარგულებლო უფლებამოსილებათა გარკვეულ მოცულობას იძენს და ამის ხარჯზე, თითქოსდა, „მაღლდება“ მათზე.

იურიდიულ მეცნიერებაში სუპრანაციონალურობის ერთიანი განმარტება არ არსებობს. მისი ცნება, როგორც წესი, ნიშნების საშუალებით განისაზღვრება. ეკ-თან მიმართებით მრავალი ასეთი განმარტება გვხვდება, მაგრამ სხვადასხვა ავტორი სუპრანაციონალურობას კავშირის საქმიანობის ამა თუ იმ კონკრეტული ასპექტიდან გამომდინარე განსაზღვრავს.⁵

არიან თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას, გაერთიანების საერთო ინტერესებიდან გამომდინარე. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას ისინი არცერთი მთავრობისა თუ ორგანოსგან არ ითხოვენ და არ ღებულობენ ინსტრუქციებს. ისინი თავს იკავებენ ნებისმიერი ისეთი ქმედებისაგან, რომლებიც შეუთავსებელია მათი ფუნქციების სუპრანაციონალურ ხასიათთან“ (იხ. Vertrag über die Gründung der Europäischen Gemeinschaft für Kohle und Stahl. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/PDF/?uri=CELEX:11951K/TXT&from=DE> (29/10/2020)). ამრიგად, სუპრანაციონალურობა ამ შემთხვევაში გაგებული იყო როგორც უმაღლესი ორგანოს წევრთა დამოუკიდებლობა მონაწილე სახელმწიფოების მითითებებისგან ან გავლენისგან. თუმცა „სუპრანაციონალურობის“ ცნების იურიდიულ განმარტებას ხელშეკრულება არ შეიცავდა. აქვე საგულისხმოა, რომ 1967 წელს პარიზის ხელშეკრულებაში ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, მისი მე-9 მუხლი, საერთოდ, გაუქმდა, რის შედეგადაც ტერმინი „სუპრანაციონალური“ ამოღებული იქნა ხელშეკრულების ტექსტიდან. მაგრამ ამით განსახილველი მოვლენა, როგორც ასეთი, არ გამქრალა. როგორც წესი, მისი გამოყვანა ევროპის გაერთიანებების დამფუძნებელი ხელშეკრულებებისა და სხვა სამართლებრივი აქტების ახსნა-განმარტების, ასევე გაერთიანებათა საკვანძო ორგანოების, პირველ რიგში, კომისიისა და ევროპის გაერთიანებების სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე დაიწყო. – იხ. Безбородов, Ю. С. (2017). Наднациональность, суверенитет и конвергенция: соотношение правовых категорий. Электронное приложение к Российскому юридическому журналу, 1, 6.

5 ზოგადად, სუპრანაციონალურობის ცნებისა და მისი დამახასიათებელი ნიშნების შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. Schermers, H. G. (1980). International Institutional Law (2nd ed.). The Hague, 29-30; Kunz, J. L. (1952). Supra-National Organs. The American

მოკლედ, ასეა თუ ისე, სუპრანაციონალურობის ნიშნები ევროპის კავშირის თავისებურებების სისტემაში აისახება და შემდეგში მდგომარეობს:

1. წევრი სახელმწიფოების მიერ ევროკავშირისთვის გარკვეული სუვერენული უფლებების გადაცემა. კავშირი ეფუძნება სამართლებრივ წესრიგს, რომელიც წევრი ქვეყნების მიერ ეროვნულ უფლებამოსილებათა გარკვეული ნაწილის გადაცემის გზითაა შექმნილი. უფლებამოსილებათა გადაცემა სუვერენიტეტის შეზღუდვას ნიშნავს. სუპრანაციონალურ ინსტიტუტებს მიეცათ ნებართვა, სახელმწიფოების შიდა უფლებამოსილებათა შესაბამის სფეროებში იმოქმედონ პოლიტიკურად, კერძოდ, მიიღონ ნორმატიული აქტები, რომელთაც პირდაპირი (უშუალო) მოქმედების ძალა აქვთ წევრი ქვეყნების სამართლებრივ სისტემაში.⁶ ამასთან, „შიდა-სახელმწიფოებრივ კომპეტენციათა სფეროში“ ეკ-ის სამართლის ამგვარი „შეჭრა“⁷ უპრეცედენტოდ მაღალი ხარისხითაა წარმოდგენილი, რის საფუძველსაც, საკუთრივ, ამ ორგანიზაციის დამფუძნებელ დოკუმენტებში დაფიქსირებული მონაწილე სახელმწიფოების შესაბამისი ვალდებულებანი წარმოადგენს. როგორც წესი, ეს დამფუძნებელი აქტები კავშირს საკითხთა ფართო წრის გარშემო ანიჭებს კომპეტენციას; მათ შორის განსაკუთრებით გამოიყოფა ე.წ. ექსკლუზიური კომპეტენცია, რომლის ფარგლებშიც ქვეყნები, ეკ-ის წევრად გახდომის ფაქტიდან

გამომდინარე და მის შემადგენლობაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, გადასცემენ მას შესაბამის უფლებამოსილებებს, რომლებსაც ისინი თავად აღარ ახორციელებენ.⁸ წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით, ეს ფაქტი ნიშნავს, ერთი მხრივ, „გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების გადანაცვლებას“ ეროვნული კომპეტენტური ორგანოებიდან ეკ-ის ინსტიტუტებზე, ხოლო, მეორე მხრივ, – „სამართლებრივი აქტების გამოცემის სფეროში შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მოქმედების თავისუფლების შეზღუდვას“.⁹

თუ საკითხს სუპრანაციონალურობის კუთხიდან მივუდგებით, აქ კიდევ ერთი გარემოება იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას; – საუბარია წევრი ქვეყნების მხრიდან ეკ-ის სასარგებლოდ გაღებული „სუვერენიტეტის მსხვერპლის“¹⁰ უჩვეულოდ დიდ მოცულობაზე. ამასთან, ეროვნულ კომპეტენციათა გარკვეული (დამფუძნებელი აქტებით ზუსტად განსაზღვრული) ნაწილის დელეგირებამ კავშირის ინსტიტუტებზე განაპირობა, რომ, შედეგად, ორგანიზაციამ მოიპოვა შესაძლებლობა და უფლება, – იმოქმედოს წევრი ქვეყნების ეროვნულ მართლწესრიგში უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლების თანაბრად. შესაბამისად, გადაცემის მომენტიდან ერთსა და იმავე სფეროში შეიძლება უზენაესი ხელისუფლების ორი მატარებელი მოქმედებდეს – თვითონ სახელმწიფო და ევროკავშირი, თან, ისინი შეიძლება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ.¹¹

2. ევროპის კავშირის სამართლის პრიმატი (უზენაესობა) წევრი ქვეყნების ეროვნული სამართლის მიმართ. სუპრანაციონალურობა, გარდა იმისა, რომ გულისხმობს სახელმწიფოთა მიერ თავიანთი უფლებების გარკვეული ნაწილის მიზანმიმართულ შეზღუდვას და ცალკეული უფლებამოსილებების სუპრანაციონალურ სტრუქტურებზე დელეგირებას, ითვალისწინებს, რომ ამ უკანასკნელელთა ნორმატიულ აქტებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ, ვიდრე ეროვნული კანონმდებლობის აქტებს. ფაქტობრივად, ეს იმას ნიშნავს, რომ სუპრანაციონალური

Journal of International Law, Vol. 46, No. 4 (Oct., 1952), 690-698; Pescatore, P. (1974). The law of integration: emergence of a new phenomenon in international relations, based on the experience of the European Communities. Leiden: Sijthoff, 33; Lasok, D., Bridge J.-W. (1982). Introduction to the law of the European Communities. Londres, Butterworths; Neuhold H., Hummer, W., Schreuer, C. (1983). Österreichisches Handbuch des Völkerrechts, I Textsteil. Wien, 157; Hohenveldern, J. S. (1980). Völkerrecht. Köln-Berlin-Bonn-München, 166, 600; ბრევაძე, supra სქოლიო 3, გვ. 336-338; Чиркин, В. Е. (2017). Наднациональное право: основные особенности. Журнал российского права, 2, 136-137; Королев, М. А. (1997). Наднациональность с точки зрения международного права. Московский журнал международного права, 2, 8-18; Фещенко, А. С. (1988). Явление наднациональности в деятельности международных организаций. Сов. ежегодник международного права. 1987, М., 159-170 და სხვ.

6 იხ. არნოლდი, რ. (2014). საკონსტიტუციო სასამართლო და ევროპული ინტეგრაცია: გერმანიის გამოცდილება. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, VII, 3.

7 იხ. Steinberger, H. (1989). Aspekte der Rechtsetzung des Bundesverfassungsgerichts zum Verhältnis zwischen EG und deutschem Recht. Festschrift für Karl Doehring, 951.

8 იხ. Лифшиц, И. М. (2019). Проблема квалификации права Европейского Союза как правовой системы. Актуальные проблемы российского права, 11 (108) ноябрь, 154.

9 იხ. Mehl, P. (1987). Die Europa-Kommission des deutschen Bundestages. Kehl-Arlington, 6.

10 იხ. Hohenveldern, J. S. (1980). Völkerrecht. Köln-Berlin-Bonn-München, 141, 462.

11 იხ. Клёмин, А. В. (1992). Ещё раз о компетенции европейских сообществ. Московский журнал международного права, 4, 119.

ხელისუფლება იერარქიულად უფრო მაღლად დგას, ვიდრე სახელმწიფო ხელისუფლება.

ის, რომ ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად რეალურად მოქმედი სამართლის დამოუკიდებელი, სუპრანაციონალური სისტემის შექმნა ითვლება, ამაზე დღეს არავინ დავობს. ფაქტობრივად, ეკ-ის სამართალი ავტონომიური სისტემაა, რომელიც სრულად არც საერთაშორისო სამართალს წარმოადგენს და არც ეროვნულ სამართალს, თუმცა მას გააჩნია როგორც ერთი, ისე მეორე სახის წყაროები.¹² შესაბამისად, იგი ორივე მათგანისგან განიცდის ზემოქმედებას, გენეტიკურად დაკავშირებულია ორივე ამ მომიჯნავე სისტემასთან, განსაკუთრებით საერთაშორისო სამართალთან, მაგრამ მისი ბუნება და განვითარების ტენდენციები ისეთ რელსებზეა გადაყვანილი, რომ იგი სულ უფრო მეტად და სრულიად აშკარად ამჟღავნებს თავის დამოუკიდებლობას. ეს „ხარისხობრივად ახალი სამართალია“, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება.¹³

ეკ-ის სამართლის არსებით სპეციფიკაზე მეტყველებს მისი წყაროთა სისტემა, სადაც ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: (1) „პირველადი“ სამართალი, ანუ ე.წ. „კონსტიტუციური“ წყაროები (კავშირის დამფუძნებელი დოკუმენტები, ასევე მათში ცვლილებების და დამატებების შემტანი აქტები); (2) „მეორადი (ანუ ნაწარმოები) სამართალი“ (ეკ-ის ინსტიტუტების მიერ, პირველადი სამართლის საფუძველზე, მიღებული ნორმატიული აქტები, ხელშეკრულებები მესამე სახელმწიფოებთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კოლიზიური სამართალი, ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტები და ა.შ.).¹⁴

12 იხ. Кузнецов, В. И. (1981). Проблемы теории и практики международного права в процессах европейской экономической интеграции. М., 40. აქ ვხვდებით როგორც საერთაშორისო კერძო (მაგალითად, კავშირის სამართლის კოლიზია ეროვნულ სამართალთან), ისე სამოქალაქო (ბრძოლა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის წინააღმდეგ) და კონსტიტუციური სამართლის ელემენტებს (ეკ-ის სახელით დადებული ხელშეკრულებების სავალდებულობა წევრი სახელმწიფოებისთვის) და ა.შ.; ამასთან, ევროპის კავშირის სამართლის საფუძველს აშკარად სახელშეკრულებო საფუძველი შეადგენს (მისი დამფუძნებელი დოკუმენტები ჩვეულებრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებია) და, აქედან გამომდინარე, მისი განხილვა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით უნდა მოხდეს.

13 იხ. Топорнин, Б. Н. (1999). Европейское право: учебник. М., 272.

14 დღეისთვის ასეთი კლასიფიკაცია მიღებულია არა მარტო იურისტთა ნაშრომებში, არამედ მან საყო-

მართალია, წარმმართველი როლი და ადგილი ამ სისტემაში „კონსტიტუციურ“ წყაროებს (უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულებას ევროპის კავშირის შესახებ, ხელშეკრულებას ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ, ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიას, რომელსაც დამფუძნებელი დოკუმენტების თანაბარი იურიდიული გააჩნია) ეკუთვნის, მაგრამ კავშირის ფარგლებში სუპრანაციონალურობის შესახებ საუბრისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენც „ნაწარმოებ“ სამართალს (მას ხშირად „კომუნიტარულ სამართალსაც“¹⁵ უწოდებენ) ენიჭება. საქმე ისაა, რომ ეს უკანასკნელი, „პირველადი“ სამართლისგან განსხვავებით (რომელიც საერთაშორისო სამართლებრივი წარმომავლობისაა, ე.ი. პირობითად თუ ვიტყვით, „გარედანაა“ შემოტანილი), თვით კავშირის ინსტიტუტების სამართლებრივი აქტიურობის შედეგია, ერთგვარ წმინდა „საშინაო“ პროდუქციას წარმოადგენს.¹⁶ „მეორადი“ სამართლის აქტები ეკ-ის ინსტიტუტების მიერ შეიძლება მიღებული იქნას თუნდაც ცალკეულ წევრ სახელმწიფოთა ნების საწინააღმდეგოდ, რომლებიც, მიუხედავად ამისა, ვალდებულნი არიან შეასრულონ და დაიცვან ისინი. აღნიშნული და სხვა სპეციფიკური თავისებურებანი ევროკავშირს პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციის ხასიათს ანიჭებს, ვინაიდან ევროსტრუქტურები მათ გამგებლობაში გადასული „სუვერენული უფლებების“ ფარგლებში დამოუკიდებლად ახორციელებენ საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროთა რეგულირებას; გარდა ამისა, სწორედ ეს სპეციფიკური თავისებურებები განაპირობებს ეკ-ის სამართლისა და წევრი ქვეყნების ეროვნული სამართლის თანაფარდობის საკითხის გადაწყვეტისას ე.წ. „ფედერაციული მოდელის“ გამოყენებას.¹⁷ იგულისხმება წევრი სახელმწიფოების ეროვნული სამართლის მიმართ კავშირის სამართლის პრიმატის პრინციპი.

საგულისხმოა, რომ წევრი ქვეყნების ეროვნული სამართლის მიმართ ევროპის კავშირის

ველთაო აღიარება ჰპოვა აგრეთვე სამართლებრივი რეგულირების პრაქტიკაში, მას მიჰყვება ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოც.

15 „კომუნიტარული სამართალი“ თავის სახელწოდებას იღებს ტერმინ „კომუნიტარიზაციიდან“, რომლითაც, ჩვეულებრივ, აღინიშნება ევროპის კავშირის გამგებლობაში ცალკეული უფლებამოსილებების გადაცემისა და მათზე ლუქსემბურგის სასამართლოს იურისდიქციის გავრცელების პროცესი.

16 იხ. Топорнин, supra სქოლიო 13, გვ. 27.

17 იხ. (1999). Право Европейского Союза: Документы и комментарий. Под ред. Кашкина, С. Ю. Москва, 34-35.

სამართლის უზენაესობის კონცეფცია (ისევე, როგორც მისი სამართლის პირდაპირი მოქმედების პრინციპი) ეკ-ის მართლმსაჯულების (შემდეგში – ასევე ლუქსემბურგის) სასამართლოს მიერ იქნა დასაბუთებული თავის გადაწყვეტილებებში. ყველაზე უფრო სრული ასახვა ამ კონცეფციამ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს 1964 წლის გადაწყვეტილებაში პოვა საქმეზე *Costa v. ENEL*, სადაც მან ეკ-ის სამართლისა და მონაწილე სახელმწიფოების ეროვნული სამართლის თანაფარდობასთან მიმართებით ორი მნიშვნელოვანი დასკვნა ჩამოაყალიბა: პირველი, წევრმა ქვეყნებმა თავიანთი სუვერენული უფლებების ნაწილი კოლექტიურად და სრულიად ცალსახად გადასცეს მათ მიერ შექმნილ გაერთიანებას; მეორე, არცერთ მონაწილე ქვეყანას არ შეუძლია ექვემდებაროს ეკ-ის სამართლის სტატუსს, როგორც სისტემისა, რომელიც ერთგვაროვნად და სრულად გამოიყენება გაერთიანების მიმართ. ამასთან, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ, ტრადიციული საერთაშორისო ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, ევროპის გაერთიანების დამფუძნებელმა ხელშეკრულებამ შექმნა განსაკუთრებული სამართლებრივი წესრიგი, რომელიც, მისი ძალაში შესვლის მომენტიდან, ინტეგრირებულია წევრი სახელმწიფოების სამართლის სისტემაში და სავალდებულო ძალის მქონეა მათი სასამართლო ორგანოებისათვის.¹⁸ ზემოთ მითითებული დებულებებიდან მეორე მათგანის უფრო სრულყოფილად განვითარების მიზნით, ლუქსემბურგის სასამართლომ *Internationale Handelsgesellschaft*-ის საქმეზე 1970 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ „გაერთიანების ამა თუ იმ აქტის ნამდვილობა ან წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე მისი ეფექტიანი გამოყენება არ შეიძლება საფრთხის ქვეშ იქნას დაყენებული მტკიცებით იმაზე, რომ ეს აქტი ეწინააღმდეგება ამ სახელმწიფოს კონსტიტუციაში განმტკიცებულ ძირითად უფლებებს, ან შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპებს“.¹⁹ თანამედროვე ეტაპზე ეს დოქტრინა მიღებული და გაზიარებულია წევრი ქვეყნების და მათი უმაღლესი სასამართლოების მიერ.²⁰ შესაბამისად, ეროვნულ

სასამართლოებს არ შეუძლიათ უარი თქვან ევროკავშირის სამართლებრივი აქტების გამოყენებაზე, მაშინაც კი, თუ ისინი ეროვნულ სამართლებრივ აქტებს ეწინააღმდეგება.²¹

3. ევროპის კავშირის სამართლის პირდაპირი მოქმედება. ეკ-ის სამართლებრივ აქტებს ზოგადსავალდებულო ნორმატიული ძალა და პირდაპირი მოქმედება გააჩნია მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიაზე. ეს ვითარება ასახულია მის დამფუძნებელ დოკუმენტებსა და სასამართლო პრეცედენტებში. ისტორიული ღირებულების მქონე ხელოვნების ნიმუშების საქმეზე 1972 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებაში ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნა, რომ „წევრი სახელმწიფოების მიერ გაერთიანებისთვის უფლებებისა და უფლებამოსილებების მინიჭება, [ევროპის გაერთიანების შესახებ] ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად, იწვევს მათი სუვერენული უფლებების შეუქცევად შეზღუდვას და ეროვნული სამართლის არცერთი დებულება, მიუხედავად მისი ბუნებისა, არ შეიძლება იურიდიულად სადავოდ ხდიდეს ამგვარ შეზღუდვას“.²²

იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს კონფლიქტს ევროკავშირის სამართლის ნორმასა და ეროვნული სამართლის ნორმას შორის, რომელიც დროის მიხედვით წინ უსწრებს მას, სასამართლო ამ უკანასკნელს განიხილავს როგორც დებულებას, რომელიც გამოყენებას არ ექვემდებარება. მაგალითად, საქმეზე

Союза: автореф. дис. ... д-ра юрид. наук. М., 41-42.

18 იხ. European Court of Justice (შემდეგში – ECJ). Case 6/64, *Flaminio Costa v. E.N.E.L.*, Judgment of 15 July 1964.

19 იხ. ECJ. Case 11/70, *Internationale Handelsgesellschaft mbH v. Einfuhr – und Vorratsstelle für Getreide und Futtermittel*, Judgment of 17 December 1970.

20 იხ. Капустин, А. Я. (2001). *Международно-правовые проблемы природы и действия права Европейского*

21 რაც შეეხება წევრი ქვეყნების ეროვნული სამართლის მიმართ ეკ-ის სამართლის უზენაესობის პრინციპის კავშირის დამფუძნებელ აქტებში ასახვის საკითხს, უნდა ითქვას, რომ ევროპისთვის კონსტიტუციის დადგენის შესახებ ხელშეკრულების პროექტში მისი განმტკიცების მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. ლისაბონის 2007 წლის ხელშეკრულებით კი ერთგვარი კომპრომისული გადაწყვეტა იქნა ვათვალისწინებული: „უზენაესობის“ პრინციპი ასახული იქნა არა უშუალოდ ხელშეკრულების ტექსტში, არამედ იგი ამ ხელშეკრულების ერთ-ერთ დანართად იქნა გატანილი N17 დეკლარაციაში (ე.წ. „დეკლარაცია პრიმატის შესახებ“), რომელსაც, თავისთავად, არანაირი იურიდიული ძალა არ გააჩნია. თუმცა ეს ფაქტი არანაირ გავლენას არ ახდენს აღნიშნული პრინციპის, როგორც კავშირის სამართლის ერთ-ერთ მთავარი პრინციპის, გამოყენებაზე; იგი კვლავაც განაგრძობს მოქმედებას ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ადრე შექმნილი პრეცედენტული სამართლის საფუძველზე. – იხ. პაპავა, *supra* სქოლიო 2, გვ. 21, 46-47.

22 იხ. ECJ. Case 48/71, *Commission of the European Communities v. Italian Republic*, Judgment of 13 July 1972.

Walt v. Wilhelm 1969 წლის 13 თებერვალს მიღებულ გადაწყვეტილებაში ლუქსემბურგის სასამართლომ მიუთითა, რომ „ევროპის გაერთიანების სამართლის უზენაესობის პრინციპის ძალით, ხელშეკრულებათა დებულებები და გაერთიანების ინსტიტუტების აქტები, რომლებსაც პირდაპირი მოქმედება გააჩნიათ, დაუშვებელს ხდის მოქმედი ეროვნული სამართლის ნებისმიერი ისეთი დებულების გამოყენებას, რომლებიც მათ ეწინააღმდეგება“.²³ გადაწყვეტილების ანალიზი იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ ეკ-ის სამართალს პირდაპირი მოქმედება გააჩნია წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე და ეს ეხება როგორც დამფუძნებელ დოკუმენტებს, ისე ეკ-ის ინსტიტუტების აქტებს, ანუ მისი სუბიექტები, გარდა სახელმწიფოებისა, არიან ასევე ფიზიკური და იურიდიული პირები.

ამასთან, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ მართლწესრიგში საერთაშორისო (მათ შორის „დამფუძნებელი“) ხელშეკრულებების ნორმების მოქმედებისა და გამოყენების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნორმების პირდაპირი ეფექტის არსებობის ან არარსებობის საკითხს წყვეტს არა წევრი სახელმწიფოების ეროვნული სასამართლოები, არამედ ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო.²⁴ აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ კავშირის სამართლებრივ აქტებს შორის არის რეგლამენტები,²⁵ რომლებიც მიიღება მისი ინ-

სტიტუტების მიერ ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისი ნორმის საფუძველზე; მათ აქვთ პირდაპირი მოქმედება,²⁶ ანუ ისინი კავშირის წევრი ქვეყნების ეროვნული სასამართლოების მიერ უშუალოდ გამოიყენება კერძო პირების უფლებებთან და მოვალეობებთან მიმართებაში, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებთან მათი შესაძლო წინააღმდეგობის გაუთვალისწინებლად. და რაც მთავარია, წევრ ქვეყნებში, მათი გამოყენების მიზნით, ისინი არ საჭიროებენ ამ სახელმწიფოების მხრიდან არც თანხმობას და არც რატიფიკაციას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, განსხვავებით საერთაშორისო სამართლის სისტემისგან, რომელიც სახელმწიფოთა სუვერენიტეტს ემყარება და, შესაბამისად, თითოეული ქვეყანაც თვითონ წყვეტს, თუ რა გზით უნდა მოხდეს საერთაშორისო სამართლის ეროვნულ მართლწესრიგში ინტეგრირება, კავშირის სამართლებრივ აქტებს პირდაპირი მოქმედება და უშუალო გამოყენება გააჩნიათ წევრ სახელმწიფოებში, იმისდა მიუხედავად, თუ რას ამბობს მათი ეროვნული კონსტიტუციები, ანუ „ეკ-ის სამართლის პირდაპირი გამოყენება თავად ევროკავშირის სამართლიდან გამომდინარეობს“.²⁷ ფაქტობრივად, კავშირის სამართლის პირდაპირი მოქმედება უზრუნველყოფს მისი დებულებების დაუბრკოლებელ ნორმატიულ მოქმედებას „შიდასახელმწიფოებრივი ფილტრის“ გარეშე.²⁸

თუმცა ეკ-ის სამართლის პირდაპირი მოქმედებისა და წევრი ქვეყნების ეროვნული სამართლის მიმართ მისი უპირატესი ძალის პრინციპებზე საუბრისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ევროკავშირი ძალიან რთულ სტრუქტურას წარმოადგენს. ლისაბონის ხელშეკრულების მიერ გარკვეული სახის ერთგვაროვანი სტრუქტურის შექმნის მცდელობა წარუმატებლად დასრუ-

23 იხ. ECJ. Case 14/68, *Walt Wilhelm and others v. Bundeskartellamt*, Judgment of 13 February 1969.
 24 იხ. *Лифшиц*, supra სქოლიო 8, გვ. 158.
 25 აღსანიშნავია, რომ ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში კავშირის სამართლებრივი აქტის ეს სახე, ინგლისურენოვანი ვარიანტის („regulation“) უშუალო ზეგავლენით, ხშირად მოიხსენიება როგორც „რეგულაცია“. არადა, ფრანგულენოვანი ორიგინალი რედაქციის („règlement“) კვალდაკვალ, ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 288-ე მუხლის (სადაც ევროკავშირის სამართლებრივი აქტების სახეებია ჩამოთვლილი) სხვადასხვა ოფიციალურენოვანი რედაქციების დიდი ნაწილი მის აღსანიშნავად სწორედ ტერმინ „რეგლამენტს“ იყენებს; მაგალითად, პორტუგალიური – „regulamento“, იტალიური – „regolamento“, ესპანური – „reglamento“, რუმინული – „regulamente“, ბულგარული – „регламентът“, ლიტვური – „reglamentas“, მალტური – „regolament“ და ა.შ. (ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 288-ე მუხლისა და, ზოგადად, ამ ხელშეკრულების ოფიციალური სრული ტექსტის სხვადასხვა ოფიციალურენოვანი რედაქციები ხელმისაწვდომია ევროპის კავშირის ვებგვერდზე: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A12012E%2FTXT>). პრინციპში, აქვე უნდა ითქვას, რომ მისი ოფიციალური ინგლისურენოვანი ვარიანტიც – „regulation“ – თავისუფ-

ლად უშვებს, რომ ეკ-ის სამართლებრივი აქტის ეს სახე ქართულ ენაზე ითარგმნოს როგორც „რეგლამენტი“. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ უფრო მართებული იქნება, თუკი იგი ქართულ თარგმანშიც (და, შესაბამისად, სპეციალურ ლიტერატურაშიც) თავს დაიმკვიდრებს როგორც „რეგლამენტი“ (ნაცვლად „რეგულაციისა“). ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 288-ე მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, „რეგლამენტს გააჩნია ზოგადი მოქმედება. იგი სავალდებულოა თავის ყველა ნაწილში და პირდაპირ გამოიყენება ყოველ წევრ სახელმწიფოში“.
 26 იხ. *Klabbers, J.* (2017). *International Law*. (2nd ed.). Cambridge: Cambridge University Press, 323.
 27 იხ. *Nicolaysen, G.* (2002). *Europarecht I: Die Europäische Integrationsverfassung*. (2 Aufl). Nomos Verlagsgesellschaft Baden-Baden, 84.

ლდა. კვლავინდებურად კავშირის სამართლის დამოუკიდებელ ნაწილად რჩება საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა; მნიშვნელოვანი გამონაკლისები არსებობს მისი ერთიანი სამართალსუბიექტობის პრინციპთან მიმართებით, რაც ლისაბონის ხელშეკრულებაშია გათვალისწინებული; მეტწილად, კვლავ ამორფული და ასევე მნიშვნელოვანი გამონაკლისების მქონედ რჩება ეკ-ის სამართლის ისეთი ნაწილი, როგორცაა „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცე“. დასავლურ დოქტრინაში ეს სფერო, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროსთან ერთად, მიჩნეულია როგორც ევროპის კავშირის სამართლის კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი ნაწილი, გამოცალკევებული ნაწილი. ამიტომაც ეკ-ის სამართლის პირდაპირი მოქმედებისა და წევრ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობის მიმართ მისი უზენაესობის (პრინციპის) პრინციპებზე საუბრისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ევროკავშირს არ აქვს ერთგვაროვანი სტრუქტურა. ამასთან, ეს ორი პრინციპი მხოლოდ კომუნიტარული სამართლის, ან, ახალ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, „კავშირის საერთო სამართლის“ სფეროში მოქმედებს.²⁹

4. გადაწყვეტილებათა მიმღები სუპრანაციონალური ორგანოების (ინსტიტუტების) დამოუკიდებლობა. როგორც წესი, საერთაშორისო ორგანიზაციის სუპრანაციონალური უფლებამოსილებები ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ნებისგან დამოუკიდებლობას გულისხმობს. საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ევროკავშირის ზოგიერთი ინსტიტუტის (ევროპის კომისია, ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლო) ფუნქციონირებს არ გააჩნიათ იმპერატიული მანდატები თავიანთი ქვეყნებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სახელმწიფოები თავად ასახელებენ ამ ორგანოების შემადგენლობაში შემავალ პირებს, კანდიდატის დამოუკიდებლობა მისი დანიშვნის ერთ-ერთ აუცილებელ (შეუცვლელ) წინაპირობად ითვლება. მათ თავიანთ საქმიანობაში სუპრანაციონალური, „ევროპული“ ინტერესებით და ევროკავშირის სამართლებრივი წესებით უნდა იხელმძღვანელონ და არა თავიანთი ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, წევრმა სახელმწიფოებმა თავი უნდა შეიკავონ სუპრანაციონალურ ორგანოებში დასაქმებული საკუთარი მოქალაქეებისთვის მი-

თითებებისა და ინსტრუქციების მიცემისგან.³⁰ პრაქტიკულად, დღემდე ევროპის კომისიასა და განსაკუთრებით ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლო საკმაოდ წარმატებით ართმევენ თავს თავიანთ ამ ძირითად მოწოდებას.

ე.წ. „სუპრანაციონალურობის პრინციპი“ ყველაზე ნათლად საგრძნობია ევროპის პარლამენტის ფორმირებისას: მისი ჩამოყალიბება საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების გზით – ეს უკვე სახელმწიფოებრივი (და არა საერთაშორისო) ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი ელემენტია. თან კიდევ, ეროვნული მთავრობები (ხოლო 1979 წლიდან კი – ეროვნული პარლამენტებიც) „ჩამოშორებულნი“ არიან აღნიშნული ორგანოს შემადგენლობის განსაზღვრისაგან.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სუპრანაციონალური ინსტიტუტების საპირწონედ ევროკავშირში არსებობს სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ორგანოები, ევროპული საბჭოსა და ეკ-ის საბჭოს (მინისტრთა საბჭოს) სახით, რომლებიც წევრი ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლებისგან შედგება და მათი რწმუნებულებით მოქმედებენ. ეს ინსტიტუტები, ერთი მხრივ, უზრუნველყოფენ ეროვნული ინტერესების კოორდინაციას ევროპის მშენებლობის პროცესში, მეორე მხრივ კი, – ხელს უწყობენ ნორმატიული წესების მიღებას და განხორციელებას, რომლებიც, ევროპული ინტეგრაციის სტიმულირების კვალდაკვალ, არც ცალკეული წევრი სახელმწიფოების ინტერესებს ლახავენ. ნიშანდობლივია, რომ ეროვნული ინტერესების რაც უფრო მგრძნობიარე სფეროებს ეხება ინტეგრაციის პროცესი, მით მეტი ხარისხით ეს უფლებამოსილებები სწორედ სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ორგანოების ხელში იყრის თავს.³¹

5. ევროპის კავშირის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების იძულებითი აღსრულების ეფექტიანი მექანიზმი. ევროპის სამართლებრივ სისტემას ხშირად მიიჩნევენ როგორც ყველაზე წარმატებულ სფეროს ეკ-ის ინტეგრაციის ყველა სხვა სფეროს შორის, რომელიც, ეროვნული სუვერენიტეტის შეზღუდვის კუთხით, სხვებზე უფრო შორს წავიდა, საერთოევროპული ამოცანების მიღწევის მიზნიდან გამომდინარე. თუკი ევროკავშირი, მთლიანობაში, შეიძლება დასახიათებელი იქნას როგორც სა-

29 *იხ.* Мещерякова, О. М. (2011). Наднациональность в Европейском Союзе и принципы действия коммунитарного права. Вестник Российского университета дружбы народов. Серия: Юридические науки, 4, 174.

30 *იხ.* Энтин, Л. М. (2009). Право Европейского союза. Новый этап эволюции: 2009– 2017 гг. Москва, 131.

31 *იხ.* Примова, Э. Н. (2013). Соотношение национального и наднационального начал в Евросоюзе. Вестник Московского университета. Серия 12, Политические науки, 5, 46.

ერთაშორისო ორგანიზაცია, სამართლის პერსპექტივის თვალსაზრისით, იგი უფრო მეტად მოქმედებს როგორც ფედერალური სისტემა. იმ ფონზე, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები, უმთავრესად, ეროვნული მთავრობების ნებაყოფლობით თანამშრომლობას ეფუძნება და მათ არ გააჩნიათ წევრ სახელმწიფოებზე ზემოქმედების ეფექტიანი სასამართლო მექანიზმი, საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების იძულების მიზნით, ევროპის კავშირში მისი ხელშეკრულებების დარღვევა შეიძლება სასამართლო წესით იქნას გასაჩივრებული საერთაშორისო სასამართლო სისტემის მეშვეობით, რომლის სათავეშიც უჩვეულოდ გავლენიანი ეკ-ის მართლმსაჯულების სასამართლო დგას. ამასთან, კავშირის სამართალს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს წევრი ქვეყნების ეროვნული სამართლის მიმართ. ცალკეულ პირებს შეუძლიათ ეკ-ის სამართალთან შესაბამისობის საკითხი გაასაჩივრონ როგორც ლუქსემბურგის სასამართლოში, ისე თავიანთ ეროვნულ სასამართლოებში.³² შედეგად: (1) ევროკავშირის სამართლის ნორმები ეფექტიანად ხორციელდება მონაწილე ქვეყნების ეროვნული სამართლებრივი სისტემების მეშვეობით; (2) ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო უზრუნველყოფს ეფექტიან კონტროლს ეროვნულ მთავრობებზე, კავშირის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების კუთხით. სწორედ იგია აღჭურვილი უფლებამოსილებით, აიძულოს სახელმწიფოები, – დაიცვან და შეასრულონ ევროკავშირის სამართლის ნორმები, რაც გამოიხატება როგორც მისი იურისდიქციის სავალდებულობაში წევრი ქვეყნებისთვის, ისე მის უფლებაში, – გამოიყენოს ფინანსური სანქციები იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებას უგულებელყოფს.³³

6. ევროპის კავშირის ფინანსური ავტონომია. საგულისხმოა, რომ კავშირი ჯერ კიდევ 1970-იანი წლების დასაწყისიდან გადავიდა „საკუთარი რესურსებით“ დაფინანსებაზე; ამ რესურსების კატეგორიებს (ახლის შემოღებას ან არსებულის გაუქმებას) ევროკავშირის საბჭოს სპეციალური ნორმატიული აქტი (გადაწყვეტილება საკუთარი რესურსების სისტემის შესახებ) განსაზღვრავს, რომელიც შეიძლება

ძალაში შევიდეს მხოლოდ ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის შემდეგ. მისი მომზადების საქმეში ევროპის პარლამენტის როლი წმინდა კონსულტაციური ხასიათისაა (იხ. ხელშეკრულება ეკ-ის ფუნქციონირების შესახებ, მუხ. 311, მესამე აბზაცი). კავშირის „საკუთარი რესურსები“ დღეისთვის ორ ძირითად წყაროს მოიცავს:³⁴ (1) შემოსავლები მესამე ქვეყნებთან საგარეო ვაჭრობიდან, საერთო საბაჟო ტარიფის გადასახადების და ეკ-ის ინსტიტუტების სამართლებრივი აქტებით დადგენილი სხვა გადასახადებისა და მოსაკრებლების სახით (ანტიდემპინგური გადასახადები და სხვ.); (2) შენატანები მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან, რომლებიც ორი სკალის საფუძველზე განისაზღვრება: წევრ ქვეყნებში გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადთან მიმართებით ერთგვაროვანი განაკვეთის საფუძველზე (ე.წ. „დღგ-ს რესურსი“) და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობიდან გამომდინარე (ე.წ. „მშპ-ს რესურსი“, რომელიც თანამედროვე ეტაპზე ეკ-ის ბიუჯეტის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს). ბუნებრივია, „თვითდაფინანსებაზე“ გადასვლასთან ერთად, ეროვნულმა პარლამენტებმა დაკარგეს ევროკავშირის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის კონტროლირების უფლება. შედეგად, „... „ევროპული“ ბიუჯეტი მთლიანად დაუსხლტა ხელიდან საპარლამენტო კონტროლს. საკუთარი სახსრების მიღებით კავშირმა სრული ფინანსური ავტონომია მოიპოვა“.³⁵

ამრიგად, თუ ევროპული გამოცდილების განზოგადებას მოვახდენთ და სუპრანაციონალურობას უნივერსალურ ასპექტში შევხედავთ, იგი შეიძლება გაგებულ იქნას როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში, ინტერესთა ერთიანობის საფუძველზე, სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის ეფექტიანი ორგანიზებისა და საქმიანობის ფორმა, რომლის დროსაც ამ ინტერესების მომსახურე ხელისუფლება გარკვეული ხარისხის ავტონომიას იძენს, მონაწილე ქვეყნების მიერ, დამფუძნებელი ხელშეკრულების შესაბამისად, მისთვის შიდასახელმწიფოებრივი უფლებამოსილებების ნაწილის გადაცემის (დათმობის) ხარჯზე, რის შედეგადაც მის გადაწყვეტილებებს, ეროვნულ მართლწესრიგ-

32 იხ. Ерофеенко, Л. В. (2016). Наднациональный аспект в праве Европейского Союза. Юридичний науковий електронний журнал, 6, 244-247.

33 იხ. Исполинов, А. С. (2017). Исполнение решений международных судов: теория и практика. Международное правосудие, 1, 59.

34 იხ. Beschluss des Rates vom 26. Mai 2014 über das Eigenmittelsystem der Europäischen Union (2014/335/EU, Euratom). Amtsblatt der Europäischen Union Nr. L 168, vom 7/6/2014, S. 105-111.

35 იხ. Маклаков, В. В. (1996). Конституции зарубежных государств. Москва, XV.

ში წინასწარი ტრანსფორმაციის გარეშე, ზოგადსავალდებულო ნორმატიული ხასიათი და პირდაპირი მოქმედება ენიჭება არა მარტო წევრი ქვეყნების, არამედ მათი ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართაც, რაც იძულებითი აღსრულების ქმედითი მექანიზმებითაა უზრუნველყოფილი; ამასთან, მნიშვნელოვანი მოცულობის დამოუკიდებელი საგანმკარგულებლო უფლებამოსილებებით აღჭურვილი სუპრანაციონალური ხელისუფლება იერარქიულად უფრო მაღლა დგას, ვიდრე სახელმწიფო ხელისუფლება, შესაბამისად, მისი სამართალიც უპირატესი იურიდიული ძალით სარგებლობს ეროვნულ სამართალთან მიმართებით.

ევროპის კავშირის იურიდიული ბუნების შესახებ

იმის გათვალისწინებით, რომ ეკ ვერ ეწერება საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიკურ კონცეფციაში, საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში დღემდე აქტიურად მიმდინარეობს დისკუსიები კავშირის სამართლებრივი სტატუსისა და მისი სამართლის იურიდიული ბუნების შესახებ. მეცნიერები აქამდე ვერ ახერხებენ საერთო აზრამდე მისვლას იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენს ევროკავშირი. ეს, მნიშვნელოვანწილად, იმ გარემოებითაა განპირობებული, რომ ეკ-ის დამფუძნებელი აქტები მისი სამართლებრივი ხასიათის არანაირ განმარტებას არ შეიცავს, რაც მრავალი და ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავებული კონცეფციის წამოყენებას იწვევს.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოიყოს ევროპული ინტეგრაციის განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული სამი ძირითადი კონცეფცია, რომლებიც კავშირის არსს ახასიათებს. პირველი კონცეფცია ეკ-ს განიხილავს როგორც ფედერაციას (ან კონფედერაციას) (ე.წ. სახელმწიფოებრივი ანუ „კონსტიტუციური“ კონცეფცია); მეორე მათგანი ევროკავშირს ახასიათებს როგორც საერთაშორისო რეგიონულ ორგანიზაციას (ე.წ. საერთაშორისოსამართლებრივი, ანუ „სამთავრობათაშორისი“ კონცეფცია), ხოლო მესამე კონცეფცია კი იქიდან ამოდის, რომ ეკ განსაკუთრებული სახის (sui generis) საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს (ე.წ. „სინთეზის კონცეფცია“). მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

გაერთიანებული ევროპის, როგორც ფედერაციული წარმონაქმნის, განვითარების

იდებ არაერთხელ წამოჭრილა სამეცნიერო და პოლიტიკურ დისკუსიებში.³⁶ „ფედერალისტები“ თვლიან, რომ ევროკავშირს გააჩნია ფედერაციული ტიპის სახელმწიფოს მსგავსი წარმონაქმნის მრავალი მახასიათებელი. ძირითადად, ესენია: (1) კავშირის ინსტიტუტების ზესახელმწიფოებრივი ხასიათის აღიარება; (2) ეკ-ის დამფუძნებელი ხელშეკრულებების კონსტიტუციური ბუნების ხაზგასმა; (3) ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ეროვნულ მთავრობებს შორის თანამშრომლობის ფედერალურ საწყისებზე ფაქტობრივი ორგანიზება, მათ შორის ევროპის კავშირის სამართლისა და წევრი ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ურთიერთმიმართების საკითხის გადაწყვეტისას ფედერაციული „მოდელის“ გამოყენება. ეკ-ის იურიდიული ბუნებაში ფედერაციული ნიშნების არსებობაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასავლეთის მეცნიერებაში ასევე არსებობს მოსაზრება, რომ იგი სუპრანაციონალურ ფედერაციას წარმოადგენს.³⁷

ევროკავშირის ფედერაციასთან შედარებისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ ფედერაცია – არის სახელმწიფო, ხოლო კავშირი კი სახელმწიფო არ არის; კავშირი არაა სუვერენული წარმონაქმნი და მისი ხელისუფლება საბოლოოდ მაინც წარმოებული ხასიათისაა; მას არ აქვს საკუთარი ტერიტორია, გარდა დამფუძნებელ ხელშეკრულებებში, ამ უკანასკნელთა გამოყენების (მოქმედების) მიზნით, პირობითად განსაზღვრული ტერიტორიისა; მას არც საკუთარი მოქალაქეობა გააჩნია, ვინაიდან, ეკ-ის შესახებ ხელშეკრულების მე-9 მუხლის თანახმად, კავშირის მოქალაქე არის ყველა ის პირი, რომელსაც წევრი ქვეყნის მოქალაქეობა აქვს. კავშირის მოქალაქეობა ემატება ეროვნულ მოქალაქეობას და არ ცვლის მას; ევროკავშირში ხელისუფლების წყარო არის არა ხალხი, არამედ წევრ სახელმწიფოთა მთავრობები, რომლებიც კავშირის ინსტიტუტებს, საკუთარი შეხედულებისამებრ, გადასცემენ გარკვეული სუვერენული უფლებებისა და უფლება-

36 იხ., მაგალითად: Curtin, D. (1993). The Constitutional Structure of the Union, a Europe of Bits and Pieces. *Common Market Law Review*, Vol. 30, 17-69; (1992). *Subsidiarität und Föderalismus in der Europäischen Union*. Von Dr. jur. Stewing, C. Carl Heymanns Verlag KG, Köln-Berlin-Bonn-München, 121; Сиджански, Д. (1998). *Федералистское будущее Европы: от Европейского сообщества до Европейского союза*. М. და სვ.

37 იხ. Bogdandy, A. Von. (2006). The European Union as a Supranational Federation: a Conceptual Attempt in the Light of the Amsterdam Treaty. *Columbia Journal of European Law*, Winter. L., 127-159.

მოსილებების განხორციელების უფლებას, რაც აუცილებელია მისი მიზნების მისაღწევად და შეესაბამება წევრი ქვეყნების ინტერესებს (ამაზე პირდაპირ მიუთითებს კომპეტენციათა მინიჭების პრინციპი), ამიტომ კავშირს არ გააჩნია სხვა უფლებამოსილებები, გარდა იმისა, რაც ეკის შესახებ ხელშეკრულებითაა განსაზღვრული; მას არ გააჩნია ე.წ. „კომპეტენციათა დადგენის კომპეტენცია“ („Kompetenz-Kompetenz“); კავშირის შემადგენლობაში გაერთიანებულ ქვეყნებს აქვთ ევროკავშირიდან გასვლის უფლება.³⁸

იურიდიულ და, განსაკუთრებით, პოლიტოლოგიურ მეცნიერებაში საკმაოდ პოპულარულია ევროპის კავშირის სამართლებრივი ბუნების კონფედერაციასთან დაკავშირება.³⁹ ამ კონცეფციის თანახმად, კავშირი განიხილება როგორც საერთაშორისო გაერთიანება ქვეყნებისა, რომლებიც, წინასწარ შეთანხმებული მიზნების მისაღწევად, საკუთარი სუვერენული (მათ შორის შინაგან საქმეებთან დაკავშირებული) უფლებების ნაწილის კავშირის კოლექტიურ განკარგულებაში გადაცემას ახდენენ, – ისე, რომ, ამასთან, ინარჩუნებენ თავიანთ დამოუკიდებლობას. უახლესი სამეცნიერო მიდგომების თანახმად, სახელმწიფოთა ასეთი საერთაშორისო გაერთიანება ზოგჯერ განიხილება როგორც ქვეყნების თანამედროვე კონფედერაცია.⁴⁰

თუმცა, ეკ-ისთვის ნიშანდობლივი კონფედერაციის გარკვეული მახასიათებლების მიუხედავად, ასეთი დასკვნა ასევე უსაფუძვლოა შემდეგი გარემოებების გამო: კონფედერაციისგან განსხვავებით, ევროპის კავშირი დროებითი წარმონაქმნი კი არა, განუსაზღვრელი ვადით შექმნილი ორგანიზაციაა; კავშირი ფუნქციონირებს სამართალშემოქმედებითი და სასამართლო ორ-

განოების ბაზაზე, რომლებსაც გააჩნიათ რეალური და არა საკოორდინაციო და საკონსულტაციო (როგორც ეს კონფედერაციაშია) უფლებამოსილებები; ეკ-ს აქვს საკუთარი სრულფასოვანი სამართლებრივი, სავალუტო და ფინანსური სისტემა, რაც კონფედერაციისთვის არაა დამახასიათებელი; მისთვის დამახასიათებელი არ არის არც მოქალაქეობის (თუნდაც სუბსიდიარული ხასიათის მქონეს) არსებობა, ხელისუფლების ორგანოების წევრი ქვეყნების მოსახლეობის მიერ პირდაპირი არჩევნები, საზღვრების გამჭვირვალობა და ა.შ., როგორც ეს ეკ-ის ფარგლებში ხდება.

ევროკავშირის საერთაშორისოსამართლებრივი ხასიათის კონცეფციას საკმაოდ მრავალი მეცნიერი იზიარებს,⁴¹ ამასთან, საერთაშორისო სამართლის მეცნიერების ზოგიერთი წარმომადგენელი იცავს პოზიციას, რომლის მიხედვითაც, ევროპის კავშირი არის სუპრანაციონალური,⁴² რეგიონული⁴³ საერთაშორისო ორგანიზაცია. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად აღნიშნული კონცეფციის მომხრეები იმ ფაქტზე მიუთითებენ, რომ ეკ-ის მართლწესრიგი თავის დასაბამს საერთაშორისო სატარო სამართლიდან იღებს. კავშირის სამართალსა და საერთაშორისო სამართალს ბევრი რამ აქვთ საერთო, რადგან მათი ნორმები, უპირველეს ყოვლისა, სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს არეგულირებს. წევრმა ქვეყნებმა, რომლებიც დამფუძნებელი ხელშეკრულებების „მშობლები“ არიან, მოლაპარაკებები გამართეს, ხელი მოაწერეს და ყველა საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინეს, სამართლებრივი საფუძველი ჩაუყარეს ევროპის ინტეგრაციული გაერთიანებების საქმიანობას. ეკ-ის კომპეტენცია არ აძლევს მას შესაძლებლობას, გააუქმოს საკუთარი დამოკიდებულება წევრ სახელმწიფოებზე, რომლებსაც,

38 ეკ-ის ფედერაციული სახელმწიფოსგან განმასხვავებელი ნიშნების შესახებ დაწვრ. იხ. სუბუა გ. (2000). ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ., 57; Bleckmann, A. (1997). *Europarecht: Das Recht der Europäischen Union und der Europäischen Gemeinschaften* (6. Auflage). Köln-Berlin-Bonn-München, 76-79; Галушко, Д. В. (2018). *Взаимодействие права Европейского союза с правом государств-членов и третьих стран: монография*. Воронеж: Издательский дом ВГУ, 19-20.

39 იხ., მაგალითად, Hughes, Chr. (1990). *Confederacies*. Leicester, 34; Ушаков, Н. М. (1997). *Государство в системе международно-правового регулирования*. М., 52-53; Чиркин, В. Е. (2001). *Федерализм и федеративное государство. Федерализм: теория, институты, отношения (сравнительно-правовое исследование)*. Отв. ред. Топорнин, Б. Н. Москва, 23.

40 იხ., მაგალითად, Лазарев, Б. М. (1990). *Федерация или конфедерация. Новый союзный договор: поиск решений*. Под ред. Лазарева, Б. М. Москва, 56.

41 იხ.: Schermers, H. G. (1980). *International institutional law*. Rockville: Sijthoff & Noordhoff, 27-33; (2006). Wyatt and Dashwood's *European Union law*/Arnulf, A., Dashwood, A., Ross, M. G., Wyatt, D. A., Spaventa, E., & Dougan, M. London: Sweet and Maxwell.

42 იხ.: არნოლდი, supra სქოლიო 6, გვ. 3; Schermers, H. G. (1980). *International institutional law*. Rockville: Sijthoff & Noordhoff, 27-33; Steiner, H. J., Vagts, D. F., Koh, N. H. (1994). *Transnational legal problems. Materials and Texts*. (4th ed.). N.Y.: The foundation press, 1082; (1999). *Международное право: учебник*. Отв. ред. Колосов, Ю. М., Кузнецов В. И. Москва, 191; Лукашук, И. И. (1997). *Международное право. Особенная часть: учебник*. М., 96 და სხვ.

43 იხ.: Шреплер, Х.-А. (1995). *Международные организации: справочник*. М., 151-167; (2006). *Европейское право: учебник*. Под общ. ред. Энтина, Л. М. Москва; Капустин, А. Я. (2000). *Европейский союз: интеграция и право*. М., 36.

თავიანთი მხრივ, ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება გაერთიანების ხასიათისა და მისი უფლებაუნარიანობის შეცვლის შესახებ. ის ფაქტი, რომ ევროკავშირს გააჩნია სუპრანაციონალურობის ელემენტების მქონე სახელმწიფოთაშორისი გაერთიანების ნიშნები და რომ იგი ცდილობს შექმნას „ევროპის ხალხთა სულ უფრო მჭიდრო კავშირი“ (იხ. ხელშეკრულება ეკ-ის შესახებ, მუხლი 1), არ უარყოფს, რომ წევრი ქვეყნები განაგრძობენ სუვერენული სახელმწიფოების ყველა კრიტერიუმის დაკმაყოფილებას და ასეთებად რჩებიან ისინი აღიარებულნი საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების მიერ. გარდა ამისა, ეკ-ის საერთაშორისოსამართლებრივი არსის სასარგებლოდ მეტყველებს მისი წევრობის ინსტიტუტიც.

ევროპის კავშირის არსის კიდევ ერთ დახასიათებას წარმოადგენს მისი განსაკუთრებული ხასიათის (როგორც *sui generis* ორგანიზაციის) კონცეფცია (იგივე „სინთეზის კონცეფცია“).⁴⁴ ამ კონცეფციის მომხრეები, კავშირის საერთაშორისო ორგანიზაციებთან შედარებისას, ყურადღებას მათ შორის არსებულ განსხვავებებზე ამახვილებენ. ჩვეულებრივ, ისინი ეყრდნობიან ისეთ არგუმენტს, როგორცაა ნორმათშემოქმედებით სფეროში წევრი ქვეყნების მიერ თავიანთი საკვანძო უფლებამოსილებების ნაწილის გადაცემა ევროკავშირის ინსტიტუტებისთვის, რამაც შექმნა სათანადო წინაპირობები წევრი სახელმწიფოების ეროვნული სამართლის ნორმებთან მიმართებით კავშირის სამართლის ნორმების პრიმატისთვის. ეკ-ის ფუნქციონირებისთვის დამახასიათებელია ასევე მისი სამართლის მრავალი დებულების პირდაპირი მოქმედება, რომლებიც განმტკიცებულია დამფუძნებელ ხელშეკრულებებში, ევროპის კავშირის ინსტიტუტების მიერ რეგლამენტების, დირექტივების და გადაწყვეტილებების ფორმით მიღებულ დადგენილებებში, მესამე ქვეყნებთან დადებულ შეთანხმებებში და ამ შეთანხმებების საფუძველზე შექმნილი თანამშრომლობის ორგანოების აქტებში. ეს კი იწვევს საზღვრების ფაქტობრივ მოშლას კავშირის სამართალსა და წევრი სახელმწიფოების ეროვნულ სამართალს შორის.

44 იხ. Pescatore, P. (1983). The doctrine of direct effect: an infant disease of community law. *European Law Review*, Vol. 8, 155-177; Phelan, W. (2012). What Is *Sui Generis* About the European Union? *Costly International Cooperation in a Self-Contained Regime*. *International Studies Review*, 14 (3), 367-385; Weatherill, S., Beaumont, P. (1995). *EC Law*. (2nd ed.). London: Penguin Books; Топорнин, *supra* სქოლიო 13; Галушко, Д. В. (2020). Юридическая сущность Европейского Союза в современных реалиях. *ВЕСТНИК ВГУ. СЕРИЯ ПРАВО*, 1 Январь-Март, 234-241 და სხვ.

ეკ-ის სამართლის პირდაპირი ზემოქმედების წყალობით, წევრი ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შესაძლებლობა აქვთ, დაიცვან დამფუძნებელი დოკუმენტებისა და კავშირის ორგანოების დადგენილებების ნორმებით მათთვის მინიჭებული უფლებები უშუალოდ ლუქსემბურგის სასამართლოსა (კონკრეტულად, – საერთო სასამართლოსა) და თავიანთი ქვეყნების ეროვნულ სასამართლოებში.⁴⁵

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, არსებულ მოცემულობაში ევროპის კავშირის *sui generis* ორგანიზაციად აღიარება სიტუაციიდან გამოსასვლელ ყველაზე მარტივ გზას წარმოადგენს, რომელსაც ევროინტეგრაციის მრავალი მკვლევარი ირჩევს.⁴⁶ მიგვაჩნია, რომ კავშირის ამგვარი დახასიათება ყველაზე მეტად შეესაბამება ევროპის ინტეგრაციული პროცესების განვითარების თანამედროვე რეალობას. ეკ უნიკალური წარმონაქმნია, რომელმაც საკუთარი მართლწესრიგი შექმნა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს როგორც საერთაშორისოსამართლებრივ, ისე შიდასახელმწიფოებრივ პრინციპებს და მექანიზმებს. იგი გვევლინება როგორც სუპრანაციონალური ელემენტების მქონე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც, რეგიონული ინტეგრაციული პროცესების შედეგად, საერთაშორისო ხელშეკრულების დადების გზითაა შექმნილი და რომელსაც წევრმა ქვეყნებმა ნებაყოფლობით გადასცეს თავიანთი სუვერენული უფლებების ნაწილი, რომელთა განხორციელებაც მის ინსტიტუციურ მექანიზმს ეკისრება. თუმცა აქვე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მოცემულ ეტაპზე ევროპის კავშირის იურიდიული ბუნების საკითხის საბოლოო გადაწყვეტა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, ვინაიდან იგი ჯერ კიდევ საკუთარი განვითარების პროცესში იმყოფება.

დასკვნა

თანამედროვე ეპოქაში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის დონეზე სუპრანაციონალური რეგულირების საკითხები განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს. ეს, ძირითადად, დაკავშირებულია ქვეყნების სწრაფვასთან, სუპრანაციონალური სტრუქტურებისა და ორგანოებისთვის თავიანთ კომპეტენციათა ნაწილის

45 იხ. Горниг, Г. (2005). *Право Европейского союза*. СПб., 112.

46 იხ. Четвериков, А. О. (1999). *Основные органы Европейского Союза: Конституционно-правовой аспект*. дис. ... канд. юридических наук. М., 41.

გადაცემის შედეგად, ერთი მხრივ, შეინარჩუნონ ზენაციონალური და ეროვნული საწყისების ხელსაყრელი ბალანსი, მეორე მხრივ კი, მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ რეგულირების სუპრანაციონალური მექანიზმები საკუთარი მიზნებისთვის.

ევროპის გაერთიანებისა და ევროკავშირის ფარგლებში, ევროპული ინტეგრაციის პროცესის უნიკალური გამოცდილება მომეტებულ ყურადღებას ამ სფეროში სწორედ სუპრანაციონალური მექანიზმის ფორმირებისა და ფუნქციონირების თვალსაზრისით იპყრობს. შესაბამისად, საერთაშორისო სამართალში დღეისთვის სწორედ ეკ ითვლება სუპრანაციონალურობის თვისებების გამოვლენის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად. ამასთან, აღნიშნული მოვლენის სწორედ მის მაგალითზე განხილვა აჩვენებს, რომ სუპრანაციონალურობას არა მარტო გააჩნია თავისი ფარგლები, არამედ მისი არსებობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ეს მონაწილე ქვეყნების ინტერესებს შეესაბამება. იგი, პირველ რიგში, საერთაშორისოსამართლებრივი მოვლენაა და მის რეალიზაციაში მთავარ როლს სახელმწიფოები ასრულებენ. მხოლოდ ეროვნულ დონეზე წყდება სუპრანაციონალურობის ხარისხის გაზრდის ან შემცირების საკითხი, იმისდა მიხედვით, ინტეგრაციის პროცესი კონკრეტულ ეტაპზე საჭიროებს თუ არა სიღრმეში ან სიგანეში განვითარებას.

როგორც ჩანს, თანამედროვე ევროპაში შესაძლებლობა გვაქვს, თვალი მივადევნოთ

საერთაშორისო სამართლის ერთგვარი უზენაესობის, ალბათ, ერთადერთ პრეცედენტს, რომელსაც ეკ-ში სუპრანაციონალური ხასიათი გააჩნია. მის ფარგლებში ჩამოყალიბებული ერთიანი სამართლებრივი სივრცე ავტონომიურ მართლწესრიგს წარმოადგენს, რომელიც თავისი თვისობრივი პარამეტრებით არც მონაწილე ქვეყნების ეროვნული სამართლებრივი სისტემების იდენტურია და არც საერთაშორისო სამართლის.

ის ფაქტი, რომ, ტრადიციული საერთაშორისო ორგანიზაციებისგან განსხვავებით, ევროკავშირში განსაკუთრებით ბევრმა სუპრანაციონალურმა თვისებამ მაღალი დოზით და ინტენსიურობით მოიყარა თავი, განაპირობებს, რომ „კავშირი იკავებს ადგილს სადღაც სუვერენული ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაციას და ეროვნულ სახელმწიფოს შორის“, როდესაც მსგავსი „საშუალო მდგომარეობა“ რთულია კლასიკური საერთაშორისო სამართლის ტერმინებით გადმოსცე და გამოხატო.⁴⁷ შესაბამისად, არსებულ მოცემულობაში, ევროპის კავშირის სამართლებრივი ბუნებისა და არსის შეფასებისას, მიზანშეწონილია, რომ იგი განხილული იქნას როგორც სუპრანაციონალურობის ელემენტების მქონე განსაკუთრებული ხასიათის (sui generis) საერთაშორისო ორგანიზაცია.

47 ib. Shütze, R. (2018). *European Union Law* (2nd ed.). NY: Cambridge University Press, 43.

ბიბლიოგრაფია:

22. ალექსიძე, ლ. (2010). თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი.
23. გაბრიჩიძე, გ. (2012). ევროპული კავშირის სამართალი. ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი.
24. მირიანაშვილი, გ. (2018). წევრ სახელმწიფოთა კონსტიტუციებზე ევროპული კავშირის სამართლის უზენაესობის დოქტრინა მელონის საქმის მიხედვით. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, 2, 123-128.
25. ფირცხალაშვილი, ა. (2018). ეროვნული სამართლის ინტერნაციონალიზაციიდან საერთაშორისო სამართლის კონსტიტუციონალიზაციამდე. საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, 1, 43-53.
26. Calliess, Chr. (2010). *Die neue Europäische Union nach dem Vertrag von Lissabon*. Tübingen: Mohr Siebeck.
27. Draft Treaty embodying the Statute of the European Community (adopted by the Ad Hoc Assembly, in Strasbourg on 10 March 1953). Information and official documents of the Constitutional Committee, October 1952 – April 1953. Paris: Secretariat of the Constitutional Committee, 1953. pp. 53-143. http://aei.pitt.edu/991/1/political_union_draft_treaty_1.pdf (29/10/2020).
28. ECJ. Case 294/83, Parti ecologiste «Les Verts» v. European Parliament, Judgement of 23 April 1986.
29. ECJ. Amministrazione delle Finanze dello Stato v. Simmenthal SpA. Judgment 9 March 1978.
30. (1987). Fact sheets on the European Parliament and the activities of the European Community. Luxembourg.
31. Fragmentation of International Law: Difficulties Arising from the Diversification and Diversification and

Expansion of International Law. Report of the Study Group of the International Law Commission. A/ CN.4/L.682, 13 April 2006, para 218, pp. 112-113. https://legal.un.org/ilc/documentation/english/a_cn4_l682.pdf (26/10/2020).

32. Hay, P. (1996). Federalism and supranational organisations. Patterns for new legal structures.
33. Kaiser, J. H. (1980). Grenzen der EG-Zuständigkeit. In: Zeitschrift für Europarecht 1980, 97ff.
34. Köck, H. F. (1988). Die "implied powers" der Europäischen Gemeinschaften als Anwendungsfall der "implied powers" internationaler Organisationen überhaupt. Festschrift für J. S. Hohenveldern. Köln.
35. Sweet, A. S., Caporaso, J. A. (1998). From Free Trade to Supranational Polity: the European Court and Integration. European Integration and Supranational Governance. Ed. by Sandholtz, W. & Sweet, A. S. N.Y.
36. Василенко, В. А. (1988). Основы теории международного права. Киев.
37. Мещерякова, О. М. (2010). Наднациональные международные организации и проблема суверенитета государств-членов. Московский журнал международного права, 2, 37-47.
38. Ушаков, Н. А. (1988). Проблемы теории международного права. М.
39. Хартли, Т. К. (1998). Основы права Европейского Сообщества. Введение в конституционное и административное право Европейского Сообщества/перевод с англ. и научная редакция В. Г. Бенды. М.: ЮНИТИ, Закон и право; Будапешт.
40. <https://europa.eu> – ევროპის კავშირის ოფიციალური ვებგვერდი.
41. <https://curia.europa.eu> – ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ოფიციალური ვებგვერდი.
42. <https://ec.europa.eu> – ევროპის კომისიის ოფიციალური ვებგვერდი.